

განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ქსოვილების
კოლექცია მდ. ხრამის ხეობის გამოქვაბული კომპლექსებიდან

თამარ ქოქიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის თამარ ქოქიაშვილის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ქოქიაშვილი
2017

აბსტრაქტი

XX ს-ის 80-იან წლებში ქვემო ქართლში, მდინარე ხრამის (ქციის) ხეობაში მდებარე ხელოვნურ გამოქვაბულთა კომპლექსების არქეოლოგიური გათხრებისას სხვადასხვა ტიპის ქსოვილების ფრაგმენტების მდიდარი კოლექცია გამოვლინდა. ამ აღმოჩენამ მაშინვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება, თუმცა, აღნიშნული მასალიდან მხოლოდ ხალიჩისა და ფარდაგის რამდენიმე განსაკუთრებით მაღალმხატვრული ნიმუშია გამოქვეყნებული და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი, კოლექციის დანარჩენი ნაწილი კი დღემდე პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო.

ნაშრომი სწორედ ამ მასალის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ განსაზღვრას ეძღვნება. ამ მიზნით, საკვლევად შერჩეულია ამ ხეობაში მდებარე, არქეოლოგიურად შესწავლილ 2 ყველაზე მოზრდილ გამოქვაბულთა კომპლექსში, ნახიდურის კლდის სოფლებსა და მუგუთის ქვაბთა მონასტერში მოპოვებული არტეფაქტები.

ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული ძეგლების ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგები და ყურადღება გამახვილებულია მათი არქეოლოგიური გათხრისას წარმოჩენილ სტრატиграფიულ სურათზე. ამ ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალა ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. საქართველოსა და კავკასიის მეზობელი რეგიონების არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგლებიდან კარგად ცნობილი და დღესდღეობით საკმაოდ ზუსტად დათარიღებული ნივთები (ძირითადად კერამიკული, მინის და ლითონის ნაკეთობანი, მათ შორის ნუმისმატიკური მასალა); 2. ორგანული ნივთიერებებისგან დამზადებული ნაკეთობები, რომლებსაც ზუსტი პარალელები არქეოლოგიურად შესწავლილი სხვა ძეგლებიდან არ გააჩნიათ (ძირითადად ხის ნივთები, ხალიჩებისა და სხვა ქსოვილების ფრაგმენტები). ვინაიდან ამ ორი ტიპის არტეფაქტები ყველა ნიშნით ზუსტად ერთ ქრონოლოგიურ ფაზას განეკუთვნებიან, მიკვლეული ქსოვილის ფრაგმენტები დანარჩენი, კარგად ნაცნობი ნივთების თანადროული გამოდის. კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია იმის დამადასტურებელი

არგუმენტები, რომ აღნიშნულ ფენებში მოპოვებული მრავალი არტეფაქტი, ძირითადად თიხის მოჭიქული და მოუჭიქავი ნაწარმის დიდი ნაწილი, კარგად თარიღდება XII-XIV საუკუნეებით. შესაბამისად, მათთან ერთად აღმოჩენილი ქსოვილებიც დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა იყოს დამზადებული. ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს ნახიდურის გამოქვაბულთა ერთ-ერთ კომპლექსში, ქსოვილების შემცველ ფენაში აღმოჩენილი სპილენძის მონეტების განძი, რომლის შემადგენელი 26 მონეტიდან უადრესი გიორგი III-ის მეფობის ხანაში, 1174 წელსაა მოჭრილი, ყველაზე გვიანდელი, მეფე რუსუდანის 1227 წლის მონეტა კი XIII ს-ის მე-2 ნახევარში ხელახლაა დადამღული.

გარდა ამისა, ნაშრომში, ეთნოგრაფიული პარალელებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია აღნიშნული ქსოვილების ტიპოლოგიურ-ფუნქციონალური კლასიფიცირება და დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქსოვილები, ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, ნახიდურის გამოქვაბულთა კომპლექსები, მუგუთის გამოქვაბულთა კომპლექსები, დაჩითვა, განვითარებული შუა საუკუნეების საქართველო, მოჭიქული კერამიკა, მოუჭიქავი კერამიკა.

Abstract

The richest collection of excavated cloth of medieval centuries has been found in rock-cut monuments of Kvemo Kartli. This collection provoked interest of scholars during various scientific conferences and symposiums held in recent years.

There are no doubts related to the chronological homogeneity of the archeological materials found in the upper layers of these cave complexes. These excavated materials can be divided into two main categories: 1) Well-known, exactly dated archeological items of Georgia and neighboring countries (mainly ceramic and metal items, fragments of jewelry, numismatic material); 2) Unknown type of material, without the parallels of precisely determined dates (Mainly items made out of organic materials). The fragments of cloth fragments, which we are focusing on, belong to the latter category.

As a result of excavations of upper cultural layers of the complex floors items of pottery have been found. Some items are glazed, some not glazed and some also of faience. The above-described types of ceramics are well known to Georgia and foreign scientists. There are many parallels to these items in the archaeological monuments of XII-XIV cc Georgia.

Some of the most important evidence for dating the fragments of cloth excavated in Kvemo Kartli cave complexes are samples of numismatic items excavated in the same layer. Totally 26 Georgian copper coins were discovered in these cave complexes. From these coins the earliest ones were cut by the king Giorgi III in 1174 and the latest ones were cut by the Queen Rusudan in 1227.

As one can see, in Kvemo Kartli cave complexes, a number of diverse ceramics and numismatic material was found together with cloth fragments, which undoubtedly can be dated by XII-XIV cc. But most of the excavated material is dated from XIII-XIV cc. Thus, the fragments of cloth can be regarded as items produced and used in the same ages.

Keywords : *Cloth, Rock monuments of Kvemo Kartli, Cave complexes of Nakhiduri, Cave complexes of Muguti, Print, Developed middle ages of Georgia, Glazed ceramics, Unglazed ceramics.*